პროექტი

განკარგულება

დაბა ჩოხატაურში, დუმბაძის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობისა (ხელოვნების სასახლე) და მასზე დამაგრებული 5748.00 კვ.მ. არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.21.166) ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრისათვის“ სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემის შესახებ

თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს დაბა ჩოხატაურში, დუმბაძის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობისა (ხელოვნების სასახლე) და მასზე დამაგრებული 5748.00 კვ.მ. არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.21.166) ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრისათვის“ სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემის შესახებ.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა - ლაშა თოლორდავამ